ტრანსნაციონალური კორპორაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

ნინო ლაზვიაშვილი
სტუ-ს პროფესორი
ლაშა-გიორგი დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: shisou92@gmail.com
მარიამ დათაშვილი
სტუ-ს ასისტ. პროფესორი
E-mail: datashvili-maria@mail.ru

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთი განსხვავებული სტრუქტურით და მენეჯმენტით.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა ინტეგრაციის გაძლიერება - სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონების საწარმოო სტრუქტურების ურთიერთქმედების გაღრმავება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმით, რაც განსაკუთრებით აქტიურად უწყობს ხელს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას. შერჩეული თემის გარკვეული ასპექტები, რომლებიც ძირითადად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოზიტიური და უარყოფითი ასპექტების ეხება, შედარებით ფართოდ შუქდება უცხოურ და ადგილობრივ ეკონომიკურ ლიტერატურაში. თუმცა, იაპონიის, კორეის რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინვესტიციების გავლენის კვლევა აზიური წყნარი ოკიანის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე ამ რეგიონში ინტეგრაციის პროცესებზე არ ჩატარებულა. უცხოელი მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ უცხოური ინვესტიციების გარკვეულ პარამეტრებზე და, როგორც წესი, პოზიტიურ ეფექტს ახასიათებენ, როგორიცაა: წარმოების მოდერნიზაცია, სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი ტექნოლოგიების გადაცემა და სხვა. თუმცა, ამ პროცესის უფრო დეტალური შესწავლისას პოზიტიური მხარე ყოველთვის არ არის თვალსაჩინო. გარდა ამისა, ინტეგრაციის პროცესებზე უცხოური ინვესტიციების გავლენის საკითხი, ასევე რეგიონის ფინანსური და სასაქონლო ნაკადები იშვიათად შუქდება სათანადოდ. მოცემული დისერტაცია არის ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსების მცდელობა და იაპონიის, კორეის რესპუბლიკის და ჩინეთის ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ასახვა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ინტეგრაციის პროცესების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო კონკურენცია, გლობალიზაცია, გამსხვილების ტენდენცია, საერთაშორისო ბაზარი, მუშახელი.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით, თანამედროვე ტნკ-ების უმეტესობა წარმოადგენს დახურულ ან ღია სააქციო საზოგადოებას. სხვა სიტყვებით - კორპორაცია, ეს არის იურიდიული პირი, რომლის სააქციო კაპიტალი ეკუთვნის ერთ პიროვნებას, აქციონერების ვიწრო ან ფართო ჯგუფს.

ყოველი ტნკ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ სტრუქტურას აქვს თავისი განსაკუთრებული თვისებები შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: კომპანიის საქმიანობის სფერო, მაგალითად, დეცენტრალიზაციის დონე, ეროვნული მენეჯმენტის თავისებურებები. ტნკ-ის სტრუქტურა მოქნილია და მუდმივად იცვლება გარე ფაქტორების, მაგ. ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ზეგავლენით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპანიის ყველა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, ბაზირების ქვეყანაში პირობების შეცვლისადმი სწრაფი ადაპტაცია, ფუნქციონალური სამსახურების მუშაობის ეფექტურობა - წარმოადგენს ნებისმიერი საორგანიზაციო ფორმის ტნკ-ის ძირითად ამოცანას.

ბოლო დროს ძლიერდება ტნკ-ების გამსხვილების ტენდენცია. შერწყმისა და შთანთქმის მოცულობამ 2016 წელს 544 მლრდ. დოლარს მიაღწია. გაერთიანებისა და შთანთქმისა რაოდენობის ზრდის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს:

1. საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერების პირობებში გაერთიანებები და შერწყმები წარმოადგენს ტნკ-ების ყველა ძირითად მსოფლიო ბაზარზე შეღწევის ყველაზე სწრაფ გზას და აძლევს მათ წვდომას დიდი რაოდენობით რესურსებზე.

2. გლობალიზაციის პირობებში კორპორაციის ზომა წარმოადგენს მისი საქმიანობის მნიშვნელოვან პარამეტრს. თანამედროვე პირობებ-

ში მსხვილ კორპორაციებს გააჩნიათ ძლიერი ფინანსური, მმართველობითი და საწარმოო სტრუქტურა, რაც მათ გარკვეულ რეგიონებში ეკონომიკურ კრიზისებზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის. კორპორაციის ზომა ასევე მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ფირმის მასშტაბისგან ეკონომიის თვალსაზრისითაც.

3. მსხვილ კორპორაციებს აქვთ მსხვილი ფინანსური და საწარმოო რესურსების მოზიდვის საკმარისი შესაძლებლობა წარმოების ტექნოლოგიური სფეროს გასამყარებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკაში, ბოლო დროს კომპანიების გამსხვილების ტენდენციის ზემოქმედებით, ტნკ-ების უმეტესობა, საორგანიზაციო სტრუქტურის თვალსაზრისით, წარმოადგენს არა ერთიან იურიდიულ პირს, არამედ სხვადასხვა იურიდიული პირების გაერთიანებას.

საკუთარი განვითარების პროცესის დროს ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა გაიარეს რამდენიმე ეტაპი.

პირველი თაობის ტნკ-ების საქმიანობა მნიშვნელოვან წილად იყო დაკავშირებული სანედლეულო რესურსების შემუშავებასთან, ამიტომ მათი შეფასება შეიძლება როგორც „კოლონიალურ-სანედლეულო ტნკ-ები".

მეორე ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლის შესრულებას იწყებენ ტნკ-ები, დაკავშირებულნი სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან. დაიწყეს რა თავისი საქმიანობა ორ მსოფლიო ომს შორის, მეორე თაობის ტნკ-ების ნაწილმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. პირველი და მეორე თაობის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია „ინვესტიციები ნულიდან". ეს განპირობებულია იმით, რომ მათი ფუნქციონირების პერიოდში ძირითადი კონკურენტული უპირატესობა იყო ფიქიკური საწარმოო ძალების არსებობა სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე, განსახილველი პერიოდი ხასიათდება ახალი ტნკ-ების ჩასახვით, და არა ადრე არსებული საწარმოების ევოლუციური განვითარებით.

მესამე ეტაპი - XX საუკუნის 60-80-იანი წლები - პერიოდი, როცა ჩამოყალიბდა ტნკ-ები, რომელთა საქმიანობა ეფუძნებოდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართო გამოყენებაზე. მესამე თაობის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია მათი საწარმოო საქმიანობის ისეთი ასპექტების ერთობლიობაში გაერთიანება, როგორიცაა: ეროვნული და უცხოური წარმოება, საქონლის რეალიზაცია, პერსონალის საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის მართვა. სამეწარმეო პროცესის ძირითადი ელემენტები გადაყავდათ შესაბამისი ქვეყნების სტანდარტებზე და პრინციპებზე. მესამე თაობის ტნკ-ები ხელს უწყობდნენ თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიულ ზონებში, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შექმნეს წინაპირობები საერთაშორისო წარმოების აღმოცენებისათვის ერთიანი საბაზრო და საინფორმაციო სივრცით, კაპიტალის საერთაშორისო ბაზრით, მუშახელითა და სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურებით. გავრცელების ბაზრებისთვის ბრძოლის გაჩაღებასთან დაკავშირებით, მესამე თაობის ტნკ-ები ცდილობდნენ კონკურენტული უპირატესობების მიღებას ფასების სფეროში. ამწყობი საწარმოები მიმღებ ქვეყნებში ეხმარებოდნენ ტნკ-ებს გვერდი აევლოთ საიმპორტო დაბეგვრისთვის, რითიც მათ მიაღწიეს საქონლის თვითღირებულების შემცირებას.

მეოთხე ეტაპი - XX საუკუნ ის 80-იანი წლები. ამ პერიოდის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია შემდეგი განმასხვავებელი თვისებები:

• ბაზრების პლანეტარული ხედვა და კონკურენციის გატარება მსოფლიო მასშტაბში;

• მსოფლიო ბაზრების გაყოფა რამდენიმე ასეთივე გლობალურ ტნკ-ებთან;

• თავისი ფილიალების ქსელის საქმიანობის კოორდინაცია ახალი ქსელური ტექნოლოგიების საფუძველზე, თითოეული საწარმოო კვანძის მოქნილი ორგანიზება, კორპორაციის მთელი საორგანიზაციო სტრუქტურის ადაპტურობა და მოქნილობა, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ერთიანი ორგანიზება;

• საკუთარი ფილიალების, ქარხნებისა და ერთობლივი საწარმოების ინტეგრაცია ერთიან მართვის საერთაშორისო ქსელში, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება ინტეგრირებული იყოს ტნკ-ების სხვა ქსელებთან;

• ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის განხორციელება სახელმწიფოებზე, რომლებშიც არის განთავსებული ტნკ-ის ბიზნესი.

დღესდღეობით მიდის ტნკ-ების მეხუთე თაობის ფორმირების პროცესი, რომლებსაც აქვთ რიგი თავისებურებები. მათი განმასხვავებელი თვისებები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თანამედროვე კომპანიების ფუნქციონირების გლობალურ, ეკონომიკურ და პოლიტკურ პირობებთან. მეხუთე თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციები გადაიქცნენ დამოუკიდებელ მოთამაშეებად ეკონომიკურ და პოლიტიკურ არენაზე. აღებული.

მთლიანობაში, სამეცნიერო-ტექნიკური რევ-

ოლუციის გავრცელების გამო, 90-იან წლებში ტნკ-ებისთვის დამახასიათებელია კონკურენციის გამკაცრება ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რომლებიც აადვილებს უკეთესი ხარისხის მქონე ახალი ტიპის საქონლის სწრაფ იმიტაციას, შემუშავებასა და გამოშვებას, რამაც ხელი შეუწყო ტექნოლოგიის მნიშვნელობის გაძლიერებას კონკურენტული ბრძოლის პირობებში. მეხუთე თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციები განუწყვეტლივ ზრდიან დაბანდებას კვლევით სფეროში , რაც მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ ბაზარზე საკუთარი კონკურენტული უპირატესობა. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტნკ-ების უპირატესობას ანიჭებენ კვლევით სფეროში სამეცნიერო საპროექტო ბიუროების თავმოყრას სათაო კომპანიაში, ხოლო წარმოების განთავსებას უცხოეთში. იმის გათვალისწინებით, რომ წამყვანი ტნკ-ების 85%-ზე მეტი იმყოფება აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირში, ეს ქვეყნები ახდენენ პრაქტიკულად ყველა ძირითადი სამეცნიერო კვლევების აკუმულირებას. ამით მათი ეკონომიკა ორიენტირებულნი არიან ინტელექტუალური პროდუქტის წარმოებაზე მატერიალური წარმოების ნაცვლად. თუმცა, უკვე დღეს არსებობს მაგალითები, როდესაც ტნკ-ები ატარებენ ცდებს კვლევით ცენტრებში, რომელთა მეცნიერ-მუშაკებისა და კონსტრუქტორების კოლექტივები ფუნქციონალურად და გეოგრაფიულად განთავსებულნი არიან ისეთი გაანგარიშებით, რომ ახალი ტექნოლოგიური პროცესები და პროდუქცია ოპერატიულად დაინერგოს ტნკ-ის წარმოებისა და გასაღების მთლიან ქსელში.

მეხუთე თაობის ტნკ-ების საქმიანობის კიდევ ერთ არსებით ასპექტს წარმოადგენს ტელეკომუნიაკციური ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება. მსოფლიო ინფორმაციული ინფრასტრუქტურა უმეტეს შემთხვევაში ხელს უწყობს ტნკ-ების განვითარებას. ტელეკომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ტნკ-ებმა მიიღეს ინფორმაციის გაცვლის განუსაზღვრელი შესაძლებლობები როგორც სათაო კომპანიასა და უცხოურ ოფისებს შორის, ასევე სხვა ტნკ-ებს შორის. ტელეკომუნიკაციები ემსახურებიან ტნკ-ების მმართველობითი სტრუქტურების გაძლიერებასა და განვითარებას, კორპორაციის შიგნით საინფორმაციო ნაკადების სიჩქარის ზრდასა და გარე სამყაროსთან ინფორმაციის გაცვლის ტემპებს. ფინანსური სექტორის გლობალიზაციის დაჩქარებამ და მსოფლიო ფინანსური ბაზრების ინტეგრაციამ მიგვიყვანა უზარმაზარი ტრანსნაციონალური ფინანსური კონგლომერატების წარმოქმნამდე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ წამყვანი პოზიციების დაკავება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობდა მათი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის სისტემის მშენებლობის პარალელურად. დღეისათვის უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ მყარი სამართლებრივი საფუძვლები და ტნკ-ების საქმიანობის შინაგანი წესები.

იმისათვის, რომ სრულად დავახასიათოთ თანამედროვე ტნკ-ების მდგომარეობა, აუცილებელია დეტალურად შევაჩეროთ ყურადღება სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი კომპანიების წარმოქმნისა და განვითარების ისტორიაზე. დასაწყისისთვის მოკლედ განვიხილოთ ამერიკული და ევროპული ტრანსნაციონალური კორპორაციები.

ამერიკულ ტნკ-ები ფლობენ მთელ რიგ დამახასიათებელ თვისებებს. ამერიკული ტნკ-ების ფუნქციონირებისა და განვითარების სამართლებრივი გარემოს სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს ცალკეული შტატების კანონების მრავალფეროვნება. ამან საშუალება მისცა მრავალ კორპორაციას ჯერ კიდევ შიდა ბაზარზე შეემუშავებინა საკანონმდებლო და სხვა ადგილობრივი პირობების გამოყენების ძირითადი მოდელები მაქსიმალური სარგებლით. საერთაშორისო არენაზე გასვლის შემდეგ ამ კორპორაციებმა მოახდინეს ტრანსსაშტატო საქმიანობის უკვე შემუშავებული მოდელების ადაპტირება ტრანსნაციონალურ გარემოსთან.

აშშ-ის ტნკ-ების წარმატებები დიდწილად აიხსნება მათი მდგრადი და პარტნიორული ურთიერთობებით სახელმწიფოსთან. სახელმწიფო თვალს ადევნებს საკუთარი კორპორაციების განვითარებას და ნაწილობრივ მართავს და კორექტირებას უკეთებს მათ განვითარებს. აშშ-ის მთავრობა გვევლინება არა როგორც ზედამხედველი, არამედ როგორც სრულფასოვანი და დაინტერესებული ბიზნესპარტნიორი. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს ამერიკულ ტნკ-ებს სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ იაპონური კომპანიები. 1993 და 2016 წლებს შორის აშშ-ის წილი მსოფლიო საქონლის წარმოებასა და მომსახურებაში შემცირდა 23,1%-დან 21,4%-მდე, ხოლო იაპონიის წილი გაიზარდა 7,2%-დან 7,7%-მდე. 2010 წელს ათასობით მსხვილი ტბკ-დან 345 იყო იაპონური და 353 - ამერიკული. ამერიკის მთავრობა დაეხმარა თავის ტნკ-ებს: დაიწია გადასახადებმა, მოხდა კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია, შერბილდა ჰოლდინგების შექმნის პირობები.

ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური განვითარება, განვითარებად ქვეყნებში დაიწყო მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში.

შეიძლება გამოიყოს განვითარებადი ქვეყნების რამდენიმე ჯგუფი, რომლებშიც შეიქმნა ეროვნული ტნკ-ები. მათ მიეკუთვნებიან, პირველ რიგში, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები - ტაილანდი, ტაივანი, მალაიზია, ფილიპინები, ინდონეზია; ლათინური ამერიკის რიგი სახელმწიფოები - არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, კოლუმბია, ველესუელა, ჩილე; სამხრეთ აზიის ყველაზე მსხვილი სახელმწიფოები - ინდოეთი, პაკისტანი; ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოები - ეგვიპტე, საუდის არაბეთი. ჩამოთვლილი ქვეყნების ტნკ-ები მეტად განსხვავებული არიან, თუმცა ყველა საერთაშორისო კომპანიებს ახასიათებთ საერთო თვისებები. განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ები თავისი განვითარების პირველ ეტაპზე უპირატესად იძენენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე მოძველებულ ტექნოლოგიებს, შემდგომში კი უფრო ავითარებენ საკუთარ მეცნიერებატევად ტექნოლოგიებს. ზოგიერთი ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციები, განსაკუთრებით ინდოეთის, ინვესტიციების მნიშვნელოვან მოცულობას მიმართავენ განვითარებადი ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური უმრავლესობა განთავსდება სხვა განვითარებად ქვეყნებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავიდან განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ისწრაფვიან განახორციელონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გეოგრაფიულად ან ეთნოკლუტურული ნიშნების მიხედვით ახლომდებარე ქვეყნებში, მაგ. ჰონგ-კონგი, სინგაპური, ტაივანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდ მასას ახორციელებენ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩინური დიასპორები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ინდოეთი ანალოგიურად მოქმედებს ინდოეთის ოკეანის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულად იმყოფებიან ინდური კულტურის გავლენის ქვეშ და გააჩნიათ მნიშვნელოვანი დიასპორები. ლათინური ამერიკის ქვეყნები ძირითადად ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თავისსავე რეგიონში.

ახლა უკვე შეიძლება საუბარი იმაზე, რომ უახლოეს მომავალში ტნკ-ები არა მხოლოდ შეინარჩუნებენ სრულ ეკონომიკური ძალაუფლებას, არამედ, სავარაუდოდ, შეიძენენ მიმღების ქვეყნების მთავრობებზე დამატებით ზემოქმედების ბერკეტებს. ბაზირების ქვეყნებისთვის ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკური ძალის, ავტორიტეტისა და სტაბილურობის საფუძელს. მიმღები ქვეყნებისთვის ისინი იქნებიან იმ სახელმწიფოს ინტერესების ძირითადი გამომხატველები, სადაც ეს კომპანიები შეიქმნენ. ეკონომიკური კონფლიქტების შემთხვევაში, ტნკ-ების მეშვეობით განხორციელდება ზემოქმედება. მომავალში გლობალიზაციის ზემოქმედებისას ტრანსნაციონალური კოროპორაციების ორგანიზაციისა და მარტვის დღემდე არსებული ფორმებიდან ჩამოყალიბდება მთელი რიგი უნივერსალური იურიდიული, ეკონომიკური და მმართველობითი სისტემები, რომლებიც განსხვავებულები იქნებიან ერთმანეთისგან თვითონ კომპანიის სპეციალიზაციის სფეროს თავისებურებებით. განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებასა და კორპორაციებს შორის გაზრდილი დაძაბულობის შედეგად უკანასკნელი იძულებული იქნება შეიმუშაოს ოპერირების სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე კარგად მოერგებიან მიმღები ქვეყნების პირობებს. კომპანიების მართვის თვალსაზრისით, სავარაუდოდ, სახელმწიფო უარს იტყვის ერთპიროვნულ მმართველობაზე და გადასცემს მას დაქირავებულ მენეჯერ-თანამფლობელებს, თუმცა სტრატეგიული დარგების (ენერგეტიკა, შეიარაღება და ა. შ.) კომპანიებში, კონტროლი, სავარაუდოდ დარჩება სახელმწიფოს ხელში.

პრაქტიკულად ყველა განვითარებად და განვითარებულ ქვეყანაში წამყვანი კომპანიების შექმნა ინიცირებული იყო სახელმწიფოს მიერ ან ხორციელდებოდა მისი მხარდაჭერით. მიუხედავად ეკონომიკური სამართლიანობის დეკლარირებადი პრინციპებისა და ლიბერალიზმისა ბიზნესსფეროში, ასევე მიუხედავად იურიდიულად ქცევის წესებისა, დღესდღეობით ყველა ქვენის მთავრობები, გამონაკლისის გარეშე (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ეროვნული ტნკ არ არსებობს) მხარს უჭერენ ეროვნულ გიგანტებს, მიმართავენ რა შემზღუდველი დაბეგვრის უკანონო შემოღებას, საგადასახადო არდადეგებს და ა.შ. ეროვნული ტნკ-ები უკვე გადაიქცნენ სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად და ფაქტიურად, წარმოადგენენ ეკონომიკური სტაბილურობისა და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის, შესაბამისად, პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველს. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მეტწილად წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და მოსახლეობის ეკონომიკური ჯანმრთელობის, არამედ ინოვაციური ეკონომიკისა და ადამიანური რესურსების განვითარების დიდი ნაწილი სრულდება მცირე და საშუალო საწარმოებში და ბიუჯეტში ძირითადი საგადასახადო შემოსავლები ირიცხება მათგანვე) საფუძველს. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ინოვაციები და ადამიანური რესურსები დამოუკიდებელი ეკონომიკის საფუძვლები იქნება, ე. ი. თვით სახელმწიფოსიც. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების

მიზნით, მიზანშეწონილია მივმართოთ იაპონური კორპორაციების გამოცდილებას, რომლებიც, ლოკომოტივივით ექაჩებიან მცირე საწარმოების განვითარებასა და ფუნქციონირებას ურთიერთობის შესაბამისი სისტემით. ამრიგად, გიგანტი კომპანიები უზიარებენ თავის ეკონომიკურ პრივილეგიებს და შესაბამისად, საკუთარ მოგებას მცირე ბიზნესს, რითიც საშუალებას აძლევენ მას კარგად განახორციელოს თავისი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები.

ლიტერატურა

1. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები. ტომი 3. თბ.,, 2016.
2. ვ. დათაშვილი გლობალიზაცია და ტექნოკრატია თბ., 2006. წ. გვ. 568.
3. ვანო ხუხუნაიშვილის სახ. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის კვლევების შედეგები. წვდომის რეჟიმი: http://www.lsg.gov.ge/
4. მანია ვ. ადგილობრივი დემოკრატია: სამოქალაქო აქტივობის გაზრდის პრობლემები თანამედროვე საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფ მანია“.
5. საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილების შედარებითი ანალიზი. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)” № 4 (36) 2015, ტომი I. გვ. 106-116. ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: http://www.eLIBRARY.ru
6. საქართველოს კანონები, რეკომენდაციები, განმარტებები, განკარგულებები, კომენტარები, ბრძანებულებები საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. 7/XII. 2006წ.

ОРГАНИЗАЦИОННО-ПРАВОВЫЕ ФОРМЫ ТРАНСНАЦИОНАЛЬНЫХ КОРПОРАЦИЙ

НИНО ЛАЗВИАШВИЛИ
профессор ГТУ
ЛАША-ГИОРГИ ДАТАШВИЛИ
докторант ГТУ
E-mail: shisou92@gmail.com
МАРИАМ ДАТАШВИЛИ
асист. профессор ГТУ
E-mail: datashvili-maria@mail.ru

Резюме

Одним из главных оспектов мировой экономики являются транснациональные корпорации со своими разными структурами и менеджментом.

В развитии мировой экономики самой главной тенденцией является усиление интеграции - углубление взимодействия промышленных структур разных стран и регионов на разном уровне и разными формами, что очень активно помогает деятельности транснациональных корпораций.